პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 245 (13623)

ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

კომუნისტებო! იყავით სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის ავანგარდში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან

მომზადებული შევხვდეთ ზამთარს

6 ლენინგრადელ შემოდგომას ვერ დავიმდურებით, ამინდი კარგი დაიჭირა. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ხალისიანი შრომაა გაჩაღებული.

წარმატებით სრულდება ხუთწლედის პირველი წლის გეგმები და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. მაგრამ ზამთარმა დაცდა არ იცის, ზოგჯერ ის თავის სუსხს ნაადრევადაც გვაგრძნობინებს. ამიტომ დარჩენილ მცირე დროში სანმუშოდ უნდა მოვემზადოთ, რომ ზამთარშიც შრომა ყველგან ხალისიანი იყოს.

უკანასკნელ წლებში დედაქალაქისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების გათბობის საქმე მკვეთრად გაუმჯობესდა, ეგო მძლავრი კვარტალური საქვაბეები, რომლებიც გაზის საწვავზე მუშაობენ. მასზე მიერთებული სახლები კარგად თბება, უზრუნველყოფილია ცხელი წყლითაც.

მიუხედავად ამისა, ქალაქის მცხოვრებლებს შარშან ზამთრისათვის ცუდი მოზადების გამო მწარე გაკვეთილები ახსოვთ. თბილისის საქალაქო საბჭოსა და რესპუბლიკის სხვა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, სახალხო სამმართველოებმა ჩანს, გაითვალისწინეს მშრომელთა კანონიერი საყვედურები და ზამთრისათვის მზადებას ჯერ კიდევ ზაფხულში შეუდგნენ. დღეისათვის ბევრი რამ გაკეთებულია, მაგრამ გასაკეთებელიც მნიშვნელოვნად არის.

მომდინარე წელს თბილისში 13 კვარტალური საქვაბე იმუშავებს, რომლებიც მიერთებული იქნება 765 საცხოვრებელი სახლი და 106 დაწესებულება. როგორი მდგომარეობაა, ყველა საქვაბე მზად არის თუ არა? თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს კვარტალური და მომდინარე შეკეთება დროზე დაუწყია. დღეისათვის თოქმის ყველა საქვაბე მზად არის ზამთრის სეზონისათვის. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ადგილებში ჭიანურდება ახალი ქვაბების დადგმა და რეკონსტრუქციის სამუშაოები.

შეუწყნარებლად ჭიანურდება დიღომში კინოსტუდიის საქვაბის მონტაჟი. მშენებლებსა და მემონტაჟეებს სამუშაოები მეორე კვარტალში უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ დღეისათვის დადგმულია მხოლოდ ერთი ქვაბი, ხოლო ორი ქვაბის დადგმასა და მის მონტაჟს ბოლო არ უჩანს. ზამთარი კარზე მოგვდგა. საინტერესოა, რას ფიქრობენ მემონტაჟეები?

კიდევ მეტი. თბილისში, ნავთლუღის დასახლებაში წელს საექსპლოატაციოდ დაევლება 18 საცხოვრებელი კორპუსი. ამ სახლების გასათბობად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს უნდა მოეწყო გადასატანი საქვაბე, მაგრამ ჯერჯერობით საქვაბის დადგმასა და დამონტაჟებას კარგი პირი არ უჩანს, თუ სამმართველოს მესვეურებმა ჯეროვნად არ იზრუნეს და დარჩენილი დრო მაქსიმალურად არ გამოიყენეს, ახალ მობინადრეებს, რომლებიც გახარებული არიან ბინების ჭიღებით, ზამთარში სიცივე შეაწუხებს.

ნავთლუღში მესამე მასივის დასახლება ყოველწლიურად იზრდება. ცხადია, არსებული კვარტალური საქვაბეები ვეღარ დააკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ამიტომ ჯერ კიდევ მარშან გაითვალისწინეს საქვაბის გაფართოება, დამატებით ორი ქვაბის დადგმა. სამუშაოთა შესრულება დაევალა „ენერგომონტაჟს", მთავართბილშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს, „კაველექტრომონტაჟს", „ინსტროის" და სხვა ორგანიზაციებს. საქვაბე წელს, სეზონისათვის უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, მაგრამ გათბობის სეზონი ახლოვდება, მშენებლებმა და მემონტაჟეებმა კი ქვაბების მხოლოდ დადგმა მოასწრეს, სამონტაჟო სამუშაოებს აჭიანურებენ. თუ მუშაობა ასეთი ტემპით გაგრძელდა, ცხადია, სეზონისათვის ქვაბები მზად არ იქნება.

ამავე მასივში „უ" ქუჩაზე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა თერთმეტი საცხოვრებელი კორპუსი. ცენტრალურ საქვაბეზე აღნიშნული კორპუსების მიერთების სამუშაოები „ინჟმშენმა" იკისრა. მაგრამ დღეისათვის მდგომარეობა არასახარბიელოა. ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. მშენებლებმა თუ არ იჩქარეს, საეჭვოა, რომ სეზონში ახალ კორპუსებს სითბო ექნეთ.

გარდა კვარტალური საქვაბეებისა, თბილისში მუშაობს ინდივიდუალური საქვაბეებიც, რომლებიც სითბოს აწვდიან 480 სახლს. შარშან და წინა წლებში მოსახლეობა საყვედურს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ნახშირზე მომუშავე საქვაბეები ნორმალურად ვერ ათბობდნენ სახლებს, ხშირად კი სულ არ მუშაობდნენ იმის გამო, რომ ცეცხლფარეშები არ მუყადაა. ამ სეზონში ძირითადად ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება. 169 საქვაბიდან 148 გადაყვანილია გაზის საწვავზე. ცხადია, გათბობის საქმეში შეფერხებები ნაკლები იქნება, ხოლო გათბობა გაცილებით უკეთესი.

ინდივიდუალური საქვაბეების მომდინარე და კაპიტალურ რემონტს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სანინაო სამმართველოს გათბობის სისტემის სამშენებლო-სარემონტო კანტორა აწარმოებს. უნდა აღინიშნოს, რომ მომდინარე და კაპიტალური შეკეთება ძირითადად დამთავრებულია. დარჩენილია პატარა სამუშაოები, რომელთა დამთავრება დაჩქარებას მოითხოვს, რათა საშუალება გვქონდეს გამოიცადოს სისტემა და თუ დეფექტები აღმოჩნდება, მათი გამოსწორებისათვის საკმარისი დრო დაგვრჩეს.

ზოგიერთი საქვაბის რეკონსტრუქცია მშენებლებისა და მემონტაჟეების დაუდევრობით ჭიანურდება. ავტალის გზატკეცილის № 50-ში იყო საქვაბე. მის ახლოს დამთავრდა რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. იმისათვის, რომ აღნიშნული სახლი გათბობის ქსელში ჩაერთოთ, თბილმრეწვშინის მეოთხე სამშენებლო სამმართველომ დაიწყო საქვაბის რეკონსტრუქცია, მაგრამ მას დღემდე დამთავრება არ ეღირსა. მშენებლებმა და მემონტაჟეებმა მეტი ოპერატიულობა თუ არ გამოიჩინეს, აღნიშნული სახლების ზამთრისათვის ცენტრალურ გათბობაზე მიერთება საფრთხეში აღმოჩნდება.

ხეთაგუროვის ქუჩაზე არსებული საქვაბე ნახშირზე მუშაობდა. შედგენილია ტექნიკური დოკუმენტაცია მისი გაზის საწვავზე გადასაყვანად. სამუშაოებს შესრულება იკისრა ინჟმშენის № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ. მაგრამ მას ამ სამუშაოსათვის ჯერ ხელიც არ მოუკიდნია.

სხვაც ბევრია საქვაბე, სადაც მშენებლები და მემონტაჟეები შეუწყნარებლად ჭიანურობენ სამუშაოებს, არ აწუხებთ ის, რომ ზამთარი მოახლოდა, და თუ მუშაობა ასეთი ტემპით გაგრძელეს, ხალხი სიცივეში დარჩება, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, მისმა შესაბამისმა სამმართველოებმა ახლავე უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები დარჩენილი სამუშაოების დროულად დამთავრებისათვის.

ზამთრისათვის კარგად ემზადება ინდუსტრიული ქალაქი ქუთაისი. წელს აქ პირველად აშენდა ორი ცენტრალური საქვაბე, რომლებიც სითბოს მისცემენ ლენინისა და ჭავჭავაძის პროსპექტის მცხოვრებლებს. ცენტრალურ გათბობაზე მიერთებული იქნება ორი საბავშვო სახლი და ორი სკოლა. ყველა ინდივიდუალური საქვაბე მზად არის სეზონისათვის. გათბობისათვის კარგად უზრუნიათ აგრეთვე მეტალურგიისა და ქიმიის ქალაქ რუსთავის მესვეურებს. სრულ წესრიგშია მოყვანილი საქვაბეები და მთელი გათბობის ქსელი. წელს დამატებით 400 ოჯახი მიერთებული იქნება ცენტრალურ გათბობაზე.

მარგანეცის ქალაქ ჭიათურაში ბევრი რამ გაკეთდა ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის, შეკეთდა გათბობის სისტემა, საჭირო რაოდენობით მომარაგებულია შეშა და ნახშირი. მაგრამ ამ საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. ხუთი წელია ლენინის სახელობის მაღაროს მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკაში გათბობის სისტემა ვერ მოაწესრიგეს. წელს მარგანეცის ტრესტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ კვლავ დაიწყო გათბობის სისტემის რემონტი. სამუშაოები ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. თუ ასე გაგრძელდა, მაღაროელებს წელს სითბო არ ექნებათ. გათბობის სისტემა წესრიგში არ არის მოყვანილი ნაგუთის დასახლებაშიც.

გასული წლის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ გათბობის საქმეში შეფერხებები ზშირად გამოწვეული იყო იმით, რომ სახლთმმართველობებს არ მყავდათ ცეცხლფარეშები და გაზის ოპერატორები. წელს მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია. კადრები დროზე მოამზადეს. ახლა მთავარი ის არის, რომ ეს ცეცხლფარეშები და ოპერატორები შევინარჩუნოთ. ამისათვის კი საჭიროა შეკეთდეს მათ მეორე პროფესია, რათა გათბობის სეზონის დამთავრების შემდეგ მეგვეძლოს მათი სხვა სამუშაოზე გამოყენება. ამის კარგი გამოცდილება აქვს თბილისის ზოგიერთ სახლთმმართველობას. საჭიროა მისი ყველგან დანერგვა.

როგორც დედაქალაქში, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ჯერ კიდევ ბევრი ოჯახი მოკლებულია ცენტრალურ გათბობას. ამიტომ მათთვის საჭირო რაოდენობით უნდა შეეხიდოთ ქალაქში შეშა და ნახშირი.

ზამთრის სეზონისათვის მზადება ცუდად არ მიმდინარეობს, მაგრამ არსებული ნაკლოვანებები დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. სანამ ჯერ გვიან არ არის, საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა ისე უნდა წარმართონ მუშაობა, რომ სეზონისათვის ყველა საქვაბე სრულ მზადყოფნაში ვექონდეს, რომ ზამთარშიც შრომა ყველგან ხალისიანი იყოს.

სახელოვნად შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს

დაზოგილი ლითონით ელექტროძრავები

ჭიათურა. (საკ. კორ.). ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნის კოლექტივი მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა პატრიოტული თაოსნობის საპასუხოდ სერიოზულ მუშაობას ეწევა ფერადი და შავი ლითონების მომჭირნეობით გამოყენებისა და დაზოგილი ლითონით დამატებითი პროდუქციის გამოშვებისათვის.

ამ შეჯიბრების სათავეში ელექტროსამჭერო, სადაც ელექტროძრავებს აღადგენენ. საამქროს კოლექტივს დიდი ხანია უნარიანად უძღვება საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ქალი ე. ჩხეიძე. ამ მკაცრად ებრძვიან დანაკარგებს, წუნს, უყაირათობას. ამ გზით საამქროს კოლექტივმა 4.412 კილოგრამი ფერადი ლითონი დაზოგა და დამატებით ორასამდე ელექტროძრავი აღადგინა.

ლითონს მომჭირნეობით ხარჯავენ ავრეთვე საწესისმელო და მექანიკური საამქროების კოლექტივები. მათ 50 ტონამდე შავი ლითონი დაზოგეს და დამატებით დიდძალი დეტალები დაამზადეს.

ფერადი და შავი ლითონის მომჭირნეობით ხარჯვაში თავი გამოიჩინეს შ. ლაბაძემ, ა. პაპუაშვილმა, ჯ. კაბანაძემ, ა. ქმუშაძემ, პ. ბარბაქაძემ, ვ. ბაჩიტიძემ, ი. კაბანაძემ და სხვ.

აქ ფართოდ ნერგავენ ელექტროშედუღების პატონის მეთოდს, რომელიც დიდძალ ლითონს ზოგავს.

ახალი ფაბრიკა

თელავი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49 წლისთავისათვის თელავის მშრომელებმა ახალი, დიდი სარეკლამო მიიღეს. ამრეზუმის ძიფსალებ-საგრეხი ფაბრიკის მახლობლად აშენდა და ნაწილობრივ გადაეცა საექსპლოატაციოდ მამაკაცის გასაწელი წინდების ფაბრიკა.

ფაბრიკა დაკომპლექტებულია კვალიფიციური ახალგაზრდებით, რომლებმაც გადამზადება მოსკოვის, რიგის, ტულისა და სხვა ქალაქების ფაბრიკებში გაიარეს. უკვე გამოშვებულია 55 ათასი წყვილი წინდა.

ფაბრიკის სრული ექსპლოატაცია დაიწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე და ყოველწლიურად ათ მილიონ წყვილ გასაწელ წინდას გამოუშვებს.

უპატაკებს ტრაულერი „თბილისი"

ბრაულერ „თბილისის" ეკიპაჟი გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გადასცეთ საქართველოს მშრომელებს ალუმიდა ჩვენი სურვილი, რომ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს შეხვედროდნენ ახალი შრომითი წარმატებებით.

სამხრეთ-დასავლეთი ოფრიკის ნაპირებთან თევზჭერის მთელი დროის განმავლობაში ეკიპაჟმა მოიპოვა 82.000 ცენტნერი თევზი, გაეყინა 53.530 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თევზბროდუქცია, აქედან 19.200 ცენტნერი სუფრის თევზი. წლიური გეგმა და გადადებული სოციალისტურ ვალდებულებანი ვადამდე შესრულებულია გადაქარბებით. ტრაულერმა აიღო უკანასკნელი ტვირთი და 22 ოქტომბერს დატოვა სარეწი. იგი დიდი შრომითი გამარჯვებით ბრუნდება სამშობლოში. თევზპროდუქცია, რომელიც ტრაულერს მოაქვს, განკუთვნილია საქართველოს დედაქალაქისათვის და დაამშვენებს თბილისელთა ოჯახების სახალხო სუფრას. წელს მიღწეულ დიდ შრომითს წარმატებებს ტრაულერ „თბილისის" ეკიპაჟი უძღვნის დიდი ოქტომბრის მომავალ დღესასწაულს.

სვანიძე,
თევზსაყინავ ტრაულერ „თბილისის" კაპიტან-დირექტორი.

ფაჩულია,
კაპიტნის თანაშემწე.

ამ ახალგაზრდა მუშას კომკავშირელ ვაჟა წიკლაურს კარგად იცნობენ თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის № 2 სრახნსაჭრელ საამქროში. ვაჟა მოწინავე მღარავია და შრომასთან ერთად წარმატებით სწავლობს მე-11 მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში.

სურათზე: მღარავი ვ. წიკლაური.

ოტო ს. კილაძისა.

ჯერი ჩვენი არსოგისა

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. (საკადესი). 30 მილიონ ტონაზე მეტ პურს აცხობენ ყოველწლიურად სახელმწიფო პურის საცხობი ქარხნები და სოფლის ფურნეები. ყოველდღე გვჭირდება — თბილი, სურნელოვანი ჭვავის დიდი პურის კვერი სადღესასწაულოდ, შებრაწული ერბოზელილი ფუნთუშები და ბლითები ჩაიზე...

დღეს პურის საცხობი მრეწველობისა და ვაჭრობის სპეციალისტები ერთად იხილავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში პურ-ფუნთუშეულის წარმოებისა და გაყიდვის გადიდებასთან, მათი ასორტიმენტის გაუმჯობესებასთან.

თუ რა ნაწარმის შექმნა შეიძლება ფქვილით, შაქრითა და კარაქით შესანიშნავად ასახავს გამოფენა, რომელიც მოაწყვეს ყველა რესპუბლიკიდან, მხარიდან და ოლქიდან მოსკოვში ჩამოსულმა შეხვედრის მონაწილეებმა. ტრადიციული დიდი პურის კვერი — თოვლივით ქათქათა ფუმფულა „პოლიანიცა" და ტკბილეულეზელა „კიევური წაბილი" ჩამოიტანეს დედაქალაქში უკრაინელებმა. მათ გააცვნეს თავიანთი რეცეპტები ბელორუს ხაბაზებს, ხოლო მათ კოლეგებს აჩვენეს მინსკური კალაჩები და ვიტუშკები. ქართული მადაურისა და შოთის გვერდით აწყვია უმარილო უზბეკური კვერები და სომხური ლავაში. აზერბაიჯანელმა ხაბაზებმა წარმოადგინეს ბოთლით ერბოზელილი ნამცხვარი „კურაბიე", ხოლო ესტონელებმა სურნელოვანი ჭვავის პური „ტარტული".

მაგრამ იმისათვის, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ნაწარმიდან ყველაზე საუკეთესო გახდეს მთელი ქვეყნის პურის მცხობელთა საკუთრება, ბევრი რამის გაკეთებაა საჭირო. მაგალითად, უნდა აშენდეს და მოხდეს პურის ჭარხნების, ფურნეებისა და საფუარის ქარხნების რეკონსტრუქცია. საჭიროა აღიჭურვოს წარმოება წვრილსაცალო და საკონდიტრო ნაწარმის გადამუშავების თანამედროვე მოწყობილობით, შეიქმნას საწარმოთა ტიპობრივი პროექტები.

ფაქთო ასორტიმენტის ნაწარმით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის გადაწყვეტილია ჩვენი ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში შეიქმნას საფირმო მაღაზიები.

ულიანოვსკის უნიკალური ნაგებობა

სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა 24 ოქტომბერს გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს ულიანოვსკის მემორიალური ცენტრის ნაგებობის მშენებლობის საპროექტო დავალება. ეს მონუმენტური ნაგებობა, რომელიც მოსკოველმა არქიტექტორებმა დააპროექტეს, — ლენინის თაყვანისცემის ძეგლია. აქ მოთავსდება ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალი, პოლიტიკური განათლების საოლქო სახლი და სურათების გალერეა.

ახალი თეთრი შენობა კარგად მოჩანს ვოლგის მხრიდან. იგი კვადრატის სახით არის დაპროექტებული და წარმოქმნის ეზოს, სადაც წინათ ფლიგელი იდგა, რომელშიც ვ. ი. ლენინი დაიბადა. ეზოში კვლავინდებურად იდგება სახლი, სადაც ულიანოველების ოჯახი ცხოვრობდა. იგი კარგად ჩანს, რადგანაც მემორიალური შენობა დგას სვეტებზე, პირველ სართულს კი სამი მხრიდან არ ამოაშენებენ.

მოსკოველ ხუროთმოძღვართა პროექტი, როგორც სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, აკმაყოფილებს მაღალ მოთხოვნებს. ნაგებობა მეტად მიმზიდველი იქნება თავისი დახვეწილი ფორმებით, მოხუმენტურობით, მისი მოპირკეთების დროს გამოიყენებენ გრანიტს, მარმარილოს, თეთრ ქვას, ძვირფასი ჯიშების მერქანს, ფერად ლითონებს, გაპრიალებულ მინას, მოზაიკას. კედლებს შეამკობენ მონუმენტური მოხატულობითა და რელიეფური კომპოზიციებით.

მოსკოვი (საკადესის კორ.).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. გ. ბერაკაცაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ვარიანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ზაქარია გიორგის ძე ბერკაცაშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. აბაშაძე.

თბილისი.
1966 წლის 25 ოქტომბერი.

ლათინური ამერიკის ხალხთა მეგობაროგის კონფერენცია

26 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის საბჭოთა ასოციაციის მეორე სრულიად საკავშირო კონფერენცია.

თავის არსებობის „შვიდი წლის მანძილზე ასოციაციამ მნიშვნელოვნად გაფართოოა თავისი „გეოგრაფია". მას კონტაქტები და კულტურული გაცვლა აქვს ლათინური ამერიკის ორგანიზაციებთან.

კონფერენციის მიერ არჩეულ ახალ გამგეობაში შეიყვანეს თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები. მათ შორის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, მწერალი ს. ს. სმირნოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. რ. კუზმინი და სხვები.

პრეზიდენტად კვლავ არჩეულია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ი. ხაჩატურიანი.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია.

(საკადესი).

ჩვენს ლიად ... ...

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა მარროკოს მეფეს

26 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო მაროკოს მეფე ჰასან II და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან. (საკადესი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. (საკადესი). დღეს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იოჰანეს დიკმანი.

მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ათი თვის გეგმა

ქალაქ მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გააჩაღეს რა შრომითი შეჯიბრება ოქტომბრის 49 წლისთავისა და საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე, 26 ოქტომბერს შეასრულეს მთლიანი პროდუქციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა წარმოების ათი თვის გეგმა.

თვის დამლევამდე ქალაქის მრეწველობა დამატებით გამოუშვებს ათეული მილიონობით მანეთის პროდუქციას. (საკადესი).

საკადესის ცნობა

მთვარის მესამე საგეგმოთა ხელოვნური თანამგზავრი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1966 წლის 22 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში მოგვარსაკენ ფრენის ტრაექტორიაზე გაყვანილია ავტომატური სადგური „ლუნა-12". პროგრამის შესაბამისად, 23 ოქტომბერს 22 საათსა და 12 წუთზე მოსკოვის დროით განხორციელდა სადგურის მოძრაობის კორექცია.

მთვარესთან მიფრენის დროს 1966 წლის 25 ოქტომბერს 23 საათსა და 47 წუთზე მოსკოვის დროით სადგური დაუხრუჭებულ იქნა.

მანეურის წარმატებით დამთავრების შედეგად ავტომატური სადგური „ლუნა-12" გავიდა სელენოცენტრულ ორბიტაზე, რომელიც უახლოესდება მთვარის, და გახდა მთვარის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის სისტემები და მთვარის ირგვლივ სივრცის კვლევისათვის განკუთვნილი სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მოქმედებენ. სადგური „ლუნა-12"-თან კავშირი მყარია.

საკორდინაციო — გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. ბ. ბერძენიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ზ. აბაშაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ბერიძე.

თბილისი.
1966 წლის 25 ოქტომბერი.

დიდი პოეტის პატივსაცემად

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის, მისი უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" ბოტა იყო საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, რომელიც 26 ოქტომბერს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობდნენ ქართული სცენის საუკეთესო ოსტატები.

კონცერტს პირველ ნომრად შესრულდა კომპოზიტორ **რ. ლაღიძის** „ოდა მესხეთზე", რომელიც შესრულეს სრულიად საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის გუნდმა და საქართველოს სახელმწიფო კაპელამ. სოლოს მღეროდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **დ. გამრეკელი.**

დიდი პოეტის სადიდებელი იყო **ფ. ამირანის** „ოდა რუსთაველზე", რომელიც შესრულა სრულიად საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის გუნდმა და ორკესტრმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის **ნიაზის** ხელმძღვანელობით.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, მეგობილინეთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა **მ. იაშვილმა.** მან შესასრულა ჰ. ჩაიკოვსკის სკერცო. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა **ი. ჯანდიერმა** და **ბ. მონავარდისაშვილმა** დიდი ოსტატობით შესასრულეს ვარიაციები ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედის ტბა".

დიდი წარმატება ხვდა წილად მომასა და ქალიშვილს — სსრ კავშირის სახალხო არტისტს **პ. ამირანაშვილსა** და სსრ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს **მ. ამირანაშვილს,** რომელებმაც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტთან **რ. გორგიძესთან** ერთად შესასრულეს ტერეტელი ვერდის ოპერა „ტრუბადურიდან".

მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს კომპოზიტორ ლაღიძის „სიმღერა მეგობრობაზე", რომელიც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის ნორჩ მევიოლინეთა ანსამბლმა შეასრულა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის **შ. შანიძის** ხელმძღვანელობით. ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა **ლ. შინჯიაშვილი.**

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ყველაზე ნორჩ მომღერალს **ირმა სოხაძეს.** მან შესასრულა **ლ. იაშვილის** სიმღერა „ია" და **მ. დავითაშვილის** სიმღერა „დალამშვიდობასა" საქართველოს სახელმწიფო კაპელის თანხლებით.

ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ტრიომ, რომელშიც შედიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **მ. გოძიაშვილი,** მსახიობები **დ. ვაგაშვილი** და **ვ. ტატაშვილი,** მოსკოველებსა და სტუმრებს გააცნო ქართული ხალხური სიმღერები. ქართული ხალხური სიმღერები შესასრულა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა **ი. ზაქაიძემ** და საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საგუნდო კოლექტივმა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **გ. ჩხიკვაძის** ხელმძღვანელობით. დირიჟორობდა **დ. ბალანჩივაძე.** ანსამბლის მოცეკვეთა კოლექტივმა რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის **ჯ. ბაგრატიონის** ხელმძღვანელობით შეასრულა ცეკვა „ალვანური".

ჩვეული ოსტატობით შესასრულეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტების **ნ. რამიშვილისა** და **ი. სუხიშვილის** ხელმძღვანელობით ცეკვა „სიმდი" და „შეკიბრი".

ზაქარია ფალიაშვილის მუსიკით დიდი ხანია მოზიბლულია რუსი მსმენელი. ამჯერად ქართული კლასიკური მუსიკის მარგალიტებმა მოაჯადოვეს მსმენელი თავისი განუმეორებელი კოლორიტით. დარბაზში დიდხანს უკრავდნენ ტაშს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს **ნ. ტუღუშს,** რომელმაც შეასრულა მარიხის კანცონეტა ოპერიდან „აბესალომ და ეთერი", საქართველოს სახალხო არტისტს **ბ. კრავეიშვილს** კიაზოს არიის შესრულებისათვის.

მაყურებლები მოაჯადოვა ცეკვა „ქართულმა" ოპერა „დაისიდან", რომელიც დიდი ალმაცერით შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა **ა. დვალმა** და **ვ. გუნაშვილმა.**

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულმა კვარტეტმა „დიალოგ" **ა. ებანალიძის** ხელმძღვანელობით შეასრულა **გ. ცაბაძის** სიმღერები „ლალები" და „ლირიკული სიმღერა".

მქუხარე ტაშით დაჯილდოვეს მაყურებლებმა საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის „რეროს" გამოსვლა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **კ. პეკნერის** მხატვრული ხელმძღვანელობით.

კონცერტზე შესრულდა კომპოზიტორ **ა. ჩიმაკაძის** სიმღერა სპექტაკლიდან „ფიროსმანი". ეს სიმღერა შეასრულა საქართველოს ფილარმონიის ვაჟთა ვოკალურმა სექტეტმა **მ. ხატელიშვილის** ხელმძღვანელობით. კომპოზიტორ **ს. ცინცაძის** სიმღერა „ჭრიჭინა" შეასრულა საქართველოს ფილარმონიის ვოკალურმა დუეტმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების **ც. ციცქიშვილისა** და **ნ. კერვალიძის** შემადგენლობით.

კონცერტის დირიჟორები იყვნენ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები **ჯ. კახიძე** და **ჯ. გოკიელი,** რეჟისორები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გ. ქართველიშვილი** და **ჯ. ანჯაფარიძე,** მხატვრული ხელმძღვანელი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ი. თუმანიშვილი.**

საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი მოსკოვში

სტუმრად თბილისში

26 ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქში სტუმრად ჩამოვიდნენ დიდი რუსი მეცნიერის კ. ე. ციოლკოვსკის თანამემამულენი. ტურისტული მატარებლით „მეგობრობა", რომელიც კალუგის პროფკავშირთა სოოლქო საბჭოს ინიციატივით შეიქმნა, ჩამოვიდა 340-ზე მეტი მუშა, მხვნელ-მთესველ

ᲕᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ რაიონულ კომიტეტში გადავწყვიტე ბამბის საქსოვი ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას დასწრებოდი. ვიცოდი, რომ ფაბრიკა აქ იდგა მოწიწაკე საწარმოთა რიგებში, ძლიერს ახრულებდა სახელმწიფო გეგმებს. მდგომარეობის გამოსასწორებლად საწარმო წელს ახალი კადრებით დაკომპლექტებულ.

გავცილდით ქალაქს. გადავჭერით კონტრაქტს ბიდი და ნაძვებით დახურულ მოასფალტებულ გზას გავუყვეთ სოფლისაკენ. გზის ორივე მხარეს ლურჯად ბიბინებდა ჩაის ვრცელი პლანტაციები, მხოლოდ აქა-იქ თუ შენიშნავდით მოსახლეს.

ოთხოდე კილომეტრი რომ გავიარეთ, ერთსართულიან, თეთრად შეფთქილ მატარა შენობასთან შეეჩერდით, ირგვლივ მიმოვიხედეთ, არსად ადამიანის ჭაკანება არ ჩანდა. ეულად იდგა „ყაზარმული“ ტიპის შენობა, რომელიც წინათ ალბათ საწყობის მოგალეობას ასრულებდა. არც ფაბრიკას წაგადგა, არც ადმინისტრაციულ სახლს. მეორე მხარეს მოჩანდა ბეშკარი. მას იქით კი ერთსართულიანი გრძელი შენობები.. არსად არავითარი ეპრა არ იყო გაკრული, არც გარეგნულად ეტყობოდა, რომ აქ ფაბრიკა უნდა ყოფილიყო.

კარი რომ შეეღებ, ორი ძაღლის გაავებულმა შემოგიდგა მაიძულა უმალვე გამომეკეტა. გუშაგს ღია ფანჯრიდან გამოველაპარაკე.

— დიახ, მეგობარო, ფაბრიკა აქ არის, კანტორა კი აი ის შენობაშია, — გუშაგმა გვერდით გამახედა.

იქითკენ გავემართე. პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ბოლოთაშვილი კაბინეტში დამხვდა.

ერთმანეთს გავეცანით. პარტიულ მუურნეობას გადავხედეთ. პარტორგანიზაციას ცოტა შუშაობა როდი ეკეთა. ფეორმებულია ოქმები, დაკომპლექტებულია პარტიული განათლების სკოლები, ტარდება ლექციო-მოხსენებები, საუბრები და სხვა მასობრივ-პოლიტიკური და მხატვრული ღონისძიებები.

ფაბრიკაში სამასამდე მუშაა, პარტიულ ორგანიზაციაში კი 25 კომუნისტი ირიცხება.

— თქვენი ორგანიზაცია რატომ არის ასეთი მცირერიცხოვანი? — ვკითხე მდივანს.

— ჯერ ერთი, ფაბრიკა ძირითადად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული, მეორე კიდევ ის, რომ საწარმოში კადრების დიდი დენადობაა. ვერ ვინარჩუნებთ მუშახელს, გარბიან.

— გარბიან? რატომ? ხელს ვერ უწყობთ?

— პარტიის კრებაზე სხვებსაც მოუსმენთ, მაშინ უკეთ გიგებთ, რა გვაწუხებს, რა გვტკივა.

საწარმოს დასათვალიერებლად წავედით. მდინარეს ვუთრეთ, რომ ფაბრიკის ეზო და გარემო მოუწესრიგებელია, არა აქვთ თვალსაჩინობა, შენობები საწყობების შთამბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ფაბრიკისას.

მდიგანი უფრო გულახდილად ალაპარაკდა.

— აი, ხომ ხედავთ, აბრაც არ გაგვაჩნია. არა გვაქვს კლუბი, ბიბლიოთეკა. კლუბის მაგივრობას ერთი დიდი ოთახი გვიწევს. ახლახან ძლივს შევიძინეთ რამდენიმე სკამი. სხვა დგამ-ავიღზე ფიქრიც ზედმეტია. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში ჩვენზე დახარჯული თანხები წყალში გადაყრილად მიიჩნიეთ. არც რაიკომის ყურადღებით ვართ განებავრებულნი. ეს, რამდენად უფრო სახალისო იქნებოდა შრომა, უკეთ რომ გვეხმარებოდნენ!..

საუბარში მქსოველებმაც გაგვიზიარეს თავიანთი გულისტკივილი:

— აი ეს სავენტილაციო მილები ერთი წლის დამონტაჟებულია, მაგრამ ჯერაც არ მუშაობს. ახლა შემოდგომაა. საამქროში ძალიან არ იგრძნობა სიცხე, ზაფხულში კი... ესეც არ იყოს, პაერს ხომ უნდა გასუფთავება?

— რატომ არ მუშაობს?

— ამბა რა ვიცით. დირექცია ქუთაისელ მემონტაჟეებს ამრალებს, მეკანიზმის ამუშავება არ გვაღირსებენ. ჩვენ სუფთა პაერი გვჭირდება და არა მიზეზები.

მზა პროდუქციის გაყოფილება დავათვალიერეთ. ეს ისეთი სავიწროვე იგრძნობოდა, მუშები ერთმანეთს გვერდს ვერ უქცევდნენ. დარბაზი ამავე დროს საწყობის მაგივრობასაც ეწევა.

კრების დაწყების დროც მოახლოდა. პარტიის წევრები თანდათან შეგროვდნენ კლუბში, თუ შეიძლება ასე ეწოდოს განიერ ოთახს, რომელშიც ორმოცდაათიოდე სკამი იდგა. კლუბის კეთილმოწყობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

კრება ხაკმოდ ყანმიანი, კრიტიკული აღმოჩნდა. კომუნისტები მოურიდებლად ეხებოდნენ ყველა იმ მტკივნეულ საკითხებს, რომლებიც მათ მუშაობაზე უარყოფითს გავლენას ახდენს.

— ჩვენ შესანიშნავი, შრომისმოყვარე ახალგაზრდობა გვყავს, — თქვა ხაამქროს ოსტატმა შ. მახარაძემ, — მათ მხოლოდ პირობები შეეუქმნათ, წავახალისოთ, და ამ მაშინ ნახავთ მორნაგე საწარმოებს თუ ვერ ავუბამთ მხარს.

— რა პირობებს ითხოვთ, კონკრეტულად დასახელეთ, — შენიშნა კრების თავმჯდომარემ.

— მე მხედველობაში მაქვს ახალგაზრდობის აღზრდის სხვადასხვა საშუალება. ჩვენთან ჯერ კიდევ ხათანადო სიმაღლეზე არა დგას იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, არა გვაქვს ბიბლიოთეკა, რომ თავისუფალ დროს ყურნალ-გაზეთები წაკითხონ. არ ეწყობა ექსკურსიები, არ მუშაობს რადიო, მოუწყობელია სასპორტო მოედანი, არა გვაქვს მოწინავეთა დაფა. გამოცდილების გაზიარების მიზნით არ ხდება შეხვედრები საწარმოს მოწინავე ადამიანებთან. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი მუშა ფაბრიკის პატრიოტი, მისი აქტიური მშენებელი გახდეს.

ფაბრიკის მთავარი ინჟინერი გ. ფარცხალაძე თავის გამოსვლაში ძირითადად წარმოების საკითხებს შეეხო.

— ჩვენი ფაბრიკა 6 წლისაა, მისი ინჟინერ-ტექნიკური დონე ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა. ამ ბოლო ხანებში ბევრი ახალგაზრდა ინჟინერი ჩამოვიდა, ეს ბევრ ამბავს ნიშნავს. ეს ბიჭები ენერგიულ ბრძოლას ეწევიან ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებისთვის. ეს ბიჭები ბევრ ამბავს ნიშნავენ

საერთაშორისო ცხოვრება

ახალი თავდასხმები

ბონი. (საკდესი). ამერიკის თვითმფრინავებმა, რომლებსაც ბაზა აქვთ მე-7 ფლოტის ხომალდებზე, აგრეთვე სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში 24 ოქტომბერს რამდენჯერმე დაარღვიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე და დაბომბეს და ტყვიებს ლუშნინეს დასახლებულ პუნქტებს ტონლინის რაიონში. ამავე დღეს ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს დასახლებული პუნქტები დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთ ნაწილში.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ამერიკის მხედრიონის აგრესიის ამ ახალ აქტებთან დაკავშირებით ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მხრივ პროტესტი გაუგზავნა ვიეტნამის სამთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას.

კანცლერი უნდა გადადგეს

ბონი. (საკდესი). ბონში საყოველთაო ყურადღება მიიპყრო კანცლერ ადენაერის მომავალი გადადგომის შესახებ განცხადებამ, რომელიც გააკეთა ფედერალური დეპუტატმა მმართველი პარტიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან ფურლერმა. როგორც გავითვალისწინეთ, ოფიციბურგში წარმოთქმულ სიტყვაში ფურლერმა განაცხადა, რომ „არაუგვიანეს მომავალი წლის დამდეგისა“ კანცლერის პოსტიდან უნდა გადადგეს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ადენაერი და მოსდეს დასავლეთ გერმანიის კანცლერად რეორგანიზაცია.

თუმცა ბონის კანცლერის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სასწრაფოდ უარყო ფურლერის გამონათქვამი, მაგრამ პოლიტიკურ მეთვალყურეებს ეს განცხადება მიაჩნიათ იმად, რომ არ ადგება ფარული ბრძოლა პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც ერთიანდებიან ქრისტიანულ-დემოკრატიული — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ხელმძღვანელობაში გავლენისათვის.

სუბანდრიოს პროცესზე

ნიუ-იორკი. 25 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს სამხედრო ტრიბუნალმა დამნაშავედ ცნო ინდონეზიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი დოქტორი სუბანდრიო, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის ჟურნალისტი კორესპონდენტი. სუბანდრიოს ბრალად დებენ, რომ მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალების ცდაში გასული წლის სექტემბერში.

დღესვე გამოიცხადეს განაჩენი. სუბანდრიოს სიკვდილი მიუსჯეს.

წყალდიდობით გამოწვეული ზარალი

ალჟირი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს წინასწარი ინფორმაციები იმ ზარალის შესახებ, რომელიც ალჟირის დასავლეთ ნაწილს მოუვიდა წყალდიდობის შედეგად. წყალდიდობა მოხდა ელ-ასნამის, ორანის, მოსტაგანემის, ტიარეტისა და სხვა დეპარტამენტებში. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, დაიღუპა 57 კაცი, 15.900 ცხოვრები უსახლკაროდ დარჩა, ფლიანად დაინგრა 1035 სახლი. წყალდიდობას დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა.

პოზიცია არ შეცვლილა

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი (საკდესი). დღეს მანილაში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ვიეტნამის აგრესიული ომის სხვა მონაწილე ქვეყნების ორი დღის თათბირი „უმაღლეს დონეზე“.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, თათბირზე ხელი მოაწერეს კომუნიკეს და სხვა დოკუმენტებს „ვიეტნამის ომისა და მშვიდობის პრობლემების შესახებ“.

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი (საკდესი). ღღეს გამოქვეყნდა მანილის თათბირის მონაწილე ქვეყნების ერთობლივი კომუნიკე (როგორც ცნობილია, ეს ქვეყნები მონაწილეობენ ვიეტნამის აგრესიაში). კომუნიკეში დაადასტურა, რომ თათბირის მონაწილე ქვეყნები „აგრესიისაგან“ დიაცავენ“ სამხრეთ ვიეტნამს და „განაგრძობენ თავიანთ სამხარ და სხვა მოქმედებას“ ვიეტნამში „იმდენ ხანს და იმდენად მტკიცედ, რამდენადაც ეს საჭიროა იქნება“. კომუნიკეს ავტორები აცხადებენ, რომ მზად არიან გამოიყენონ უცხოეთის ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, მაგრამ ამასთან აყენებენ სხვადასხვა პირობას. არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, „რომ ამერიკა შეწყვეტს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვას. კომუნიკეში კვლავ იმეორებენ ცილისმწამებლურ გაფაცხადებებს „ჩრდილოეთის მხრივ აგრესიისა და შეღრეკის“ შესახებ.

სამხრეთ ვიეტნამის მარionეტული მთავრობამ კომუნიკეში გამოაცხადა თავისი განზრახვა მოამზადოს „კონსტიტუცია“ და „ეროვნული შერიგების პროგრამა“. ქვეყნები, რომლებმაც კომუნიკეს ძოაწერეს ხელი, შეთანხმდნენ, რომ რეგულარულად მოაწყობენ კონსულტაციებს დიპლომატიური არხებით, აგრეთვე თითი ელჩები რეგულარულად შეხვდებიან ერთმანეთს საგონში.

გარდა ამისა, თათბირმა მიიღო ორი სხვა დოკუმენტი სარეკლამო სახელწოდებებით: „თავისუფლების მიზნები“ და „დეკლარაცია ახალი და წესიერი ოკეანის აუზში მშვიდობისა და პროგრესის შესახებ“, რომლებშიც გამოცხადებულია განზრახვა „იბრძოლონ აგრესიის, შიმშილის, სიღატაკისა და დაავადებათა წინააღმდეგ“ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „შექმნან უშიშროების, წესრიგისა და პროგრესის რაიონი“.

ჭარბი მაღალფარდოვანი ფრაზები ეხება მოწოდებანი მშვიდობისა და პროგრესისათვის ვეერ დაფარავენ, რომ თათბირის მონაწილე ქვეყნების ნაშდვილი მიზანია აგრესიის განგრძობა და გაფართოება ვიეტნამში.

დამასკო, 25 ოქტომბერი (საკდესი). სირიის გაზეთი „ალ-ბას

“, რომელიც გამოდის დამასკოს თათბირს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი იყო სამხედრო საბჭო აგრესორებისა, რომლებიც გახდილავდნენ ვიეტნამში აგრესიის გაფართოების დამატებით ღონისძიებათა მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სწორედ ეს იყო ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ომის მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელთა თათბირის ძირითადი მიზანი, წერს გაზეთი.

დამასკოს მეორე გაზეთი „ეს-სიაურა“ აღნიშნავს, რომ მანილაში იბრძოლდენენ არა მარტო ვიეტნამში აგრესიის გაფართოების საკითხს, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სხვა ქვეყნებზე აგრესიის გაფართოების საკითხსაც.

ინდონეზიელ ჩინელთა დოკუმენტი

ჯელი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). სრულიად ინდონეზიის ნშვიდობის საბჭომ აქ გაავრცელა განცხადება პრესისათვის, რომელშიც მიესალმება ერთობლივ კომუნიკეს პრეზიდენტების გ. ა. ნასერისა და ი. ბ. ტიტოს და პრემიერ-მინისტრ ი. ბ. განდის დელის მოლაპარაკების შესახებ.

„სამი ლიდერის კატეგორიული მოთხოვნა, რომ უცილობლად შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, გაიყვანონ ვიეტნამიდან უცხოეთის მთელი ჯარები და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი მონაწილეობას იღებდეს საზავო მოლაპარაკებში, — აცხადებს მშვიდობის საბჭო, — ხელს შეუწყობს მშვიდობის საერთაშორისო ძალების განმტკიცებას, რომლებიც რამდენენ საზოგადოებრივ აზრს ვიეტნამის ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის საბრძოლველად. ეს ღირსეული პასუხია მანილის „სამშვიდობო მოლაპარაკების პაროდიზეს“.



ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. ხიდი იაბლანიცის ხელოვნურ ტბაზე, რომელიც სარაევოდან სამოცდაათ კილომეტრზე მდებარეობს. წყალსატევის სიგრძეა ორმოცი კილომეტრი. მას ხშირად ნახულობენ იუგოსლავიელი და უცხოელი ტურისტები.

ფოტო ტანიუგ-საკდესისა.

„ᲒᲣᲜᲕᲘᲘᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲡᲔᲚᲘ

პეკინი, 25 ოქტომბერი (საკდესი). იმ ლოზუნგების, „დაბრ ბაოებისა“ და ფურცლების ავტორები, რომლებიც ამყამად პეკინში ვრცელდება, მოითხოვენ „აბსოლუტურად დაემორჩილონ უმაღლეს მითითებებს“ (ასე ეწოდება ჩინეთში მაო ძე-დუნის განცხადებებს. — კორ. შენიშ.). „ვიყოთ ხუნვებინენ მაო ძე-დუნის იდეების ერთგულნი, დავუმტკიცოთ ძაღლური თავები იმათ, ვინც თავმჯდომარე მაოს წინააღმდეგია!“ — მოუწოდებენ „ხუნვებინების“ ლოზუნგები და ფურცლები. ყველგან ქალაქში წარწერებია: „გაუმარჯოს წითელ ტელრარს!“

„კულტურული რევოლუციის“ მსვლელობაში ხუნვებინების კავშვებებურად უტესენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის პროვინციულ და საქალაქო კომიტეტებს, ფურცლების ავტორები, კერძოდ ბოლოთხოვენ „გადაბეგოს“ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „სამხრეთ-დასავლეთი ბიუროო“ და „გაგზავნოს სპეციალურ ჯგუფი ჩუნცინში, იმისათვის, რომ პირთადი ცეცხლი მიმართონ ჩინეთის კომპარტიის საქალაქო კომიტეტის წინააღმდეგ“.

„ხუნვებინებში“ თავიანთ ფურცლებსა და ლოზუნგებში მოუწოდებენ უბრუნველყოონ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის „უშიშროება“. თოთქმის ერთი მეტრის სიმაღლის ლოზუნგები მოითხოვენ: „მოაშორონ დაყოვნებელი მოქმედების ბომბი, რომელიც თავჭდომარე მაოს გვერდითაა!“

„ხუნვებინებმა“ ფურცლები მოითხოვენ შეიცვალოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი. ეს წინადადებანი მიერითადად ბრძს მოითხოვენ, რომ „ჩინეთის მთელი კონსტიტუცია გამსჭვალული იყოს [illegible] ბით“. კერძოდ, „ჩინეთის [illegible] რესპუბლიკაში ხელისუფლების სასაათის განსაზღვრისას წინადადება შეაქვთ ჩაუმატონ სიტყვებმ იმის შესახებ, რომ „მაო ძე-დუნის იდეებმ მთელი ჩინეთის ერთიანმა ხელმძღვანელმა იდეოლოგიამ“, ხოლო მაო ძე-დუნის იდეების პროპაგანდა და შესწავლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მოქალაქის მოვალეობა უნდა იყოს.

თავიანთ მოქმედებაში „ხუნვებინენი“, ისევე როგორც წმაო, „ხალხის [illegible] „დაბრ ბაოების“, ფურცლებსა და ლოზუნგების გავრცას. მაგალითად, მეზუთე დღეს, რაც „ხუნვებინებმა“ მოშალეს ქვანახშირის მოიეწველობის სამინისტროს მუშაობა. ამ სამინისტროს შენობის შესასვლელთან რამდენიმე აეიულმა კაცმა მოაწყო მიტინგები, რომლებიც არ შეწყვეტია თითქმის დღის განმავლობაში.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქალაქო საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დროებით შეწყდეს „რევოლუციის გამოცდილების გაზიარების მიზნით რევოლუციონერ მოსწავლეთა“ ჩამოსვლა პეკინში. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქალაქო საბჭოს სპეციალურ მმართველობაში აღნიშნულია, რომ ამჟამად პეკინში იმყოფება დაახლოებით მილიონნახევარი „რევოლუციონერი მოსწავლე“, რაც „სარწმუნეს ქმნის საცხოვრებლის, კვებისა და ტრანსპორტის მხრივ ქალაქში“. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნათქვამია მმართველობაში, „გარკვეული ავადმყოფობა რიცხვი პერსონაში ჩამოსულ რევოლუციონერ მოსწავლეთა შორის“.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საკდესი). დასავლეთი გერმანია „ხაუვარელ სანადირო რაიონი“ გახდა ამერიკელებისათვის. ცხრა წლის განმავლობაში აქ მოკლეთებული ამერიკული ფირმების რიცხვი 350-დან 1.200-დე გაიზარდა, წერს გაზეთი „დეილი მეილი“. ამერიკელთა ხელშია იმ საწარმოების 85 პროცენტზე მეტი, რომლებიც სანადირო-ამოსახსნელ მოწყობილობებსა და კანცელარიულ მანქანებს უშვებენ. „ჯენერალ მოტორსისა“ და „ფორდის“ ტრესტებს ეკუთვნით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საავტომობილო მრეწველობის საწარმოთა 40 პროცენტი. ამერიკელებს ეკუთვნით გერმანიის სალტვების მრეწველობის 20 პროცენტი, მინის მრეწველობის 40 პროცენტი, ნავთობის მრეწველობის 50 პროცენტზე მეტი.

„დეილი მეილის“ მონაცემებით უცხოეთის პირდაპირი კაპიტალური დაბანდებიდან დასავლეთ გერმანიაში, რაც ხუთ მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენს, მეოთხედი ამერიკის კაპიტალის წილად მოდის.

ᲙᲣᲕ ᲓᲔ ᲛᲘᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პარიზი, 26 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის პოლიტიკა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების მიმართ მიზნად ისახავს „ამ ქვეყნებთან ახალი ურთიერთობის დამყარებას, რომელსაც საფუძვლად უდევს ძველი მეგობრობა“, — განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფორიელ კუვ დე მიურვილმა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე გამოსვლისას.

მ. კუვ დე მიურვილი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად საკითხებს ახლანდელ ეტაპზე. მან დაადასტურა ის ფაქტი, რომ საფრანგეთიდან ევაკუირებულია ნატოს ყველა სამხედრო შტაბი. რაც შეეხება ამერიკის ჯარების გაყვანას საფრანგეთის ტერიტორიიდან და უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, საბოლოო ვადა — 1967 წლის 1 აპრილი — სავსებით ძალაში რჩება. ამასთანავე, თქვა მან, საფრანგეთს განზრახული აქვს დარჩეს ჩრდილოეთ ატლანტიკური კავშირის საბჭოში.

საკითხი ნატოს რეორგანიზაციის შესახებ, განაცხადა მინისტრმა, დღის წესრიგში იმიტომ როდი დგას, რომ იგი საფრანგეთმა აღძრა, ამ საკითხის დასმა ბოლო წლებში საერთაშორისო ვითარების საერთო განვითარების შედეგია.

დაპატიმრებული ჯიგუსტიში

პარიზი. (საკდესი). საფრანგეთის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ოპოზიციურ პარტიათა საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარე ჟოზეფ ჯიგუსტი [illegible] ოფიციალურ ენებზე. უფლებამოსილების შემმოწმებელი კომიტეტის მოხსენების დანარჩენი ნაწილი დაამტკიცეს 93 ხმით 2 ხმის წინააღმდეგ. 4 დელეგაციამ თავი შეიკავა.

სენატორ რ. კენედის მოთხოვნა

ვაშინგტონი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). სენატორმა რობერტ კენედიმ მოითხოვა, რომ ორი-სამი წლის „გამოსაცდელი ვადით“ საინსპექციო ჯგუფების გაუცვლელად შეწყდეს ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდა.

სენატორმა პორტლენდში სიტყვით მიმართა ორეგონის შტატის უნივერსიტეტის სტუდენტებს და განაცხადა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები ასლა საშუალებას იძლევიან ატომური იარაღის მიწისქვეშა აფეთქებანი აღრიცხონ იმ ტერიტორიათა გარეთ მდებარე სადგურებმა, სადაც ეს აფეთქებანი წარმოიმეს.

კენედის აზრით, ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის აკრძალვა იმ საერთო გეგმის აუცილებელი ელემენტია, რომელიც მიზნად ისახავს თერმოატომური ომის საფრთხის აღკვეთას.

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

პარიზი 26 ოქტომბერი (საკდესი). [illegible]ანეულები ერების განათლების, [illegible]ერებისა და კულტურის საკითხთა [illegible]ანიზაციის (იუნესკოს) გენერალური [illegible]ერენციის XII სესიამ, რომელიც [illegible] გაიხსნა პარიზში, საღამოს სხდომაზეგაწყო გენერალური კონფერენციის [illegible]ბჭდომარის არჩევნებით. ამ პოსტზე [illegible]ბმად აირჩიეს თურქეთის წარმომადგენელი, იუნესკოს აღმასრულებელი სა[illegible]ს თავმჯდომარის მოადგილე პრო[illegible]ორი ბიდრეტინ ტუნჯელი.

[illegible]ემდეგ სესიის მონაწილეებმა მოისმინეს უფლებამოსილების შემმოწმებელი [illegible]ტეტის მოხსენება. კომიტეტის წარ[illegible]ადგენელმა აღნიშნა, რომ დელეგა[illegible]ების რწმუნებულებათა საკითხის განხილვის დროს ჩინეთის დელეგატებმა გაილაშქრეს [illegible] წინააღმდეგ, რომ ცნონ ჩანკაიშეკ[illegible]ის მანდატი, რომლებსაც უკანონოდ [illegible]ენა ჩინეთის ადგილი იუნესკოში. კომიტეტის სხდომაზე მათ მხარი დაუჭირა [illegible]ს წარმომადგენელმა. მაგრამ წინა-

ᲕᲘᲘᲔᲗᲜᲐᲛᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკა. შემოდგომის მოსავლის [illegible]ნჯის აღება ვინფუკის პროვინციის [illegible]ენ ხუონგის სასოფლო-სამეურ[illegible]ო კოოპერატივში.

ფოტო ვია-საკდესისა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲘᲡᲐᲜᲒᲐᲜᲘᲨᲘ

გრაზავილი, 25 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი რობერტ სერგბრიანიკოვი იუწყება: ზემო კონგოს პროვინციის მთავარ ქალაქს კისანგანის უკვე რამდენიმე კვირაა აქვს სასმელი წყალი. ამას იუწყება კისანგანიდან კონგოს პრესის სააგენტო.

ეს მხოლოდ ერთ-ერთი მძიმე შედეგია კისანგანში კატანგელ ჟანდარმთა ამბოხებისა, რომელმ მ ქალაქი ხელში ჩაიგდეს მოპტეტს მთავრობის წინააღმდეგ სამხედრო ამბოხის დროს. კატანგელმა ჟანდარმ ე ბ მ ა მწყობრიდან გამოიყვანეს ადგილობრივი წყალსადენის სადგური, გაანფუძეს მისი მოწყობილობა.

კისანგანის სისხლიანმა ამბებმა დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა მთელ პროვინციას. პროექტიულად დარღვეულია მთელი ეკონომიური სტრუქტურა პროვინციისა, რომელსაც „წამებულ

ᲛᲔᲣᲓᲘᲕᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ

ᲨᲔᲜᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲔᲦᲚᲔᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲩᲠᲝᲔ.

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ.

Ყოველი ეპოქა ეხმაურებოდა რუსთაველის იდეებსა და პოეტურ სახეებს. ისევე როგორც დანტეს შემოქმედების გააზრებაში პირველი კომენტატორი იყო ბოკაჩიო, რუსთაველის პირველი კომენტატორი იყო საკუთარი შემოქმედებითი ჭეშტის მქონე პოეტი მეფე ვახტანგ VI. შემდეგ და შემდეგ „ვეფხისტყაოსანი“ სულ უფრო მდელვარე-ყურადღების ობიექტი

კლასიკურ მემკვიდრეობასთან მიმართების ხასიათზე რომენ როლანი აღნიშნავდა: „მაშინაც კი, როცა გეგზრუნდებით წარსულის ძეგლებს (თანაც სხვადასხვა ეპოქა არ ირჩევს ერთსა და იმავეს წარსულის უდიდეს საუნჯეთა შორის; გუშინ ესენი იყვნენ ბეთოვენი და ვაგნერი, დღეს — ბახი და მოცარტი), — ეს წარსული კი არ აღორძინებდა ჩვენში, არამედ თავად გადაგვაქეს წარსულში ჩვენი აჩრდილები, სურვილი, საკითხები, ჩვენი წესი და მშფოთვარეა“.

მაგრამ საქმე ის არის, რომ რუსთაველი არ ეკუთვნის ისეთ კლასიკოსთა რიგს, რომლებსაც „ზოგიერთი ეპოქა გვერდს უვლის მოკრძალებული გულგრილობით. „ვეფხისტყაოსანი“ კეტტურული კაცობრიობის მეშვიდე თანამგზავრია.

ყოველი ეპოქა თავისი ისტორიული ამოცანების პასუხს ეძებდა „ვეფხისტყაოსანში“ და მისი უნიკალურობიდან გამოყოფდა თავისი ინტერესებისათვის მესატყვეს. თავისებურად.

მაგრამ მეორდებოდა და მეორდება ერთი შეხედვით თითქოს უცნაური ფაქტი: „ვეფხისტყაოსანს“ იდეები და პოეტური სახეები აღმოჩნდნენ უფრო მარადიული და ახალი დროის სულისკვეთების შესატყვისი, ვიდრე მის შესახებ თუნდაც ჩვენთან დროით ძახლობელი ავტორების ნააზრევები. ისინი დღეს ვეგზენებიან მოძველებულად, ხოლო პოემის პრობლემატიკა და სახეები თანამედროვეობის შემადგენელ ნაწილად.

აფორისტული გამთქმა, რომ რუსთაველი კაცობრიობის კუთვნილებაა, მხოლოდ იმ აზრს გამოხატავს, რომ იგი ეკუთვნის ყოველ ადამიანს, ეროვნიც თუნდაც ოდესმე მდგარა დიდი სიყვარულის, შინაგანი ჰარმონიის, თვითდისციპლინის, სიკვდილ-სიცოცხლის, დაბრკოლებათა ძლევის, ჭირის სტოიკურად გადატანის აუცილებლობათა წინაშე. იგი წარმოადგენს მსოფლიოში ყველა იმ ადამიანის კუთვნილებას, ვინც დგას სამყაროში ადამიანის ადგილისა და მისი რაობის გააზრების წინაშე.

მაინც რა იყო მიზეზი იმ დაუცხრომელი ინტერესისა, რომელსაც „ვეფხისტყაოსანს“ მიმართ სრულიად განსხვავებული ისტორიული ამოცანების მქონე ეპოქები ამჟღავნებდა? მას ხომ ერთნაირი ინტერესით მიმართავდნენ როგორც უდიდესი კრიზისის, ისე აღმავლობის ვითარებაში?!

საქმე იმაშია, რომ „ვეფხისტყაოსანს“ უნივერსალურობი ყოველი ეპოქა ხედავდა ცხოვრების შინაგანი კანონზომიერებისაკენ ლტოლვის ენერგიას, ხედავდა როგორც ამ გზაზე არსებულ დაბრკოლებებს, ისე მისი ბრძოლით დაძლევის სიტკბოს. პოემის ეს ოპტიმისტური სულისკვეთებით მფეთქავი ნერვი დაცემის გზაზე მდგომი ეპოქის ადამიანს აწვდიდა სასიცოცხლო ძალას, ხოლო აღზევებულს — მოაგონებდა სიფრთხილის აუცილებლობას. როგორც შექსპირის თეატრ გლობუსის „წარწერა: „მთელი საწუთრო მოქმედებს როგორც თეატმაქეი“ — აფრიზილებდა ადამიანს, რვა საუკუნის შორეთიდან ასევე გვეუბნება რუსთაველიც: „ვა საწუთროო“, სიცრუვითი თავი სატანას ადარეს“ (1213).

ან — „მიმნდრნი საწუთროსანი მისცა ნივთთაგან რჩებიან, იშვებენ მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოუჩენიან“ (347).

სიცოცხლის ღირებულებათა დამკვიდრების სფერში რუსთაველი ავლენდა დაუცხრომელ ენერგიას და ცხოვრების პროცესში ეძებდა შინაგანი ჯანმრთელობიერებისა და ლოგიკის გზას. მისი დროის ფეოდალური იდეოლოგიის ტენდენციებს მისთვის ხელი არ შეუშლია. ჰქონოდა ფიზიკური წარმოდგენა წუთისოფლის რეალურ სურათზე. ამიტომ არის, რომ პირველების წინაშე აღმართული ყოველი დაბრკოლება, იქნება ეს ინტელექტუალური, ზნეობრივი თუ ფიზიკური, რუსთაველის მოფლმხედველობაში ბადებდა არა მისტიკური სფეროებისაკენ მიდრეკილებას, არამედ დაძლევის წყურვილს. ეს იყო რენესანსული ტიტანიზმით გაღელვებული რუსთაველის ბერძოლი სულისკვეთება. თავის დროზე ლეონარდო და ვინჩის შესახებ პოლ ვალერი წერდა: „ლეონარდოსათვის არ არსებობდა რელიგიური გამოცხადება. არც უფსკრულები არსებობდა გარეშემო. უფსკრული მას ხიდის გადებაზე თუ დაადგურებდა მხოლოდ“. ასეთია ის გზაც, რომელსაც რუსთაველის წინაშე აღმართული პრობლემატიკის მიმართ „ვეფხისტყაოსანს“ სულისკვეთება ამჟღავნებს. ამიტომ არის, რომ მის მაძიებლურ მისწრაფებებში თავისი ამოცანების დამკვიდრების ძალას ხედავს მისგან რვა საუკუნით დაშორებული ჩვენი ეპოქაც.

რუსთაველის გმირთა სიცოცხლე საუკუნეებით იზომება. ისინი გვიზიდავენ და აღტაცებაში მოაყვთ მათგან დიდი დროით დაშორებული ადამიანები. აქ მეჯოგნდება რუსთაველის შემოქმედების ერთი საიდუმლოებაც. საქმე ის არის, რომ მისი გმირები რენესანსული სილამაზის კვარცხლბეკზე დგანან როგორც გარეგნული მშვენიერებით, ისე მოქმედებისა და ინტერესების დიალექტიკით. ასეთია მათი აზროვნების მასშტაბები, მათი სიყვარული ძალა, სიქველე და რაინდული კეთილშობილება. აქ ისინი იდეალურის მწვერვალზე იმყოფებიან.

ერთი შეხედვით თითქოს რაფაელის ტილოებზე აღბეჭდილი სიმშვიდე და ჰარმონიით ტკბობაა მათს სახეებში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ასე რომ იყოს, ეს სიმაღლე მიუწვდომელი აღმორჩდებოდა ყველა დროის ადამიანისათვის. რუსთაველი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანური მშვენიერების ასეთი სიმაღლე არის იდეალი, რომლის განხორციელების შესაძლებლობას მხოლოდ პოტენციურად ატარებს იგი. სინამდვილეში კი მას უხდება ნებისყოფისა და რაციონალური საწყისის უკიდურესი დაძაბვა არა მარტო სამყაროში თავისი დამკვიდრებისათვის, არამედ ადამიანში თვით ადამიანური გამარჯვებისათვის. პიროვნება დააყენა რა მმფუნიერების პიედესტალზე, რუსთაველმა აჩვენა ისიც, რომ ადამიანი ჯერ კიდევ არ არის იდეალი ადამიანურობისა.

ჰარმონიის სიმაღლე რუსთაველის მსოფლმხედველობაში არ არის თვითკმარი მოცემულობა. მისი ფლობა პირდაპირ პროპორციულია მის მისაღწევად გაღებული შინაგანი ბრძოლისა და თვითდისციპლინისა. აქ რუსთაველმა მოძღვნა ადამიანის შინაგანი სამყაროს ხედვის წერტილი და თავის იდეალურ გმირთა ცხოვრებაში გვაჩვენა ადამიანის ურთულესი ფსიქოლოგიური ბუნება. მისი დროის და შემდგომი ეპოქების ხელოვნთაგან განსხვავებით, რუსთაველმა ადამიანის სულიერ სამყაროში დაინახა არა ერთი რომელიმე თვისების ბატონობა, არამედ აზრისა და გრძნობის ურთულეს ხლართებში გამოვლენილი მიმოქცევები. აქ მან მოძღვნა უმთავრესი ფსიქოლოგიური მოდელი: რომ ადამიანი არ არის ქვეცნობიერი და ცნობიერი ინსტინქტების სასურველად მარეგულირებელი არსება. მასზე ზოგჯერ იმარჯვებს ქვეყის ამკარად ირაციონალური მოტივები. იგი ხშირად მეტაფიზიკური მდგომარეობის ტყვეობაშია და აკვლევს ერთი შეხედვით უცნაურ ფსიქოლოგიურ ექსცესებსაც. ამ შინაგანი სამყაროს სიმდიდრე და კონფლიქტები კი კაცობრიობის უცვლელი ინტერესების ობიექტია. მაგრამ ესეც არ იკმარებდა იმის წარმოსადგენად, თუ „ვეფხისტყაოსანს“ რატომ მიმართავდა ყოველი ეპოქა მუდმივი ინტერესით საქმე ის არის, რომ რუსთაველმა არა მარტო აჩვენა ადამიანის ბრძოლისა და. თვითდისციპლინისა. აქ რუსთაველმა მოძღვნა ადამიანის შინაგანი ბრძოლა. ეს ბრძოლა ადამიანის ურთიერთობაში ეპოქის ხელოვნთაგან განსხვავებით,

ახალი ამბები, ცნობები

მთების გულში

ამინდი უცბად შეიცვალა. ასე იცის მთებში. წლის რა დროც უნდა იყოს, სულ ერთია, მაინც გაწყრება ხოლმე მთა. მოწმენდილ სასეზე ნისლს ჩამოიფარებს და მორჩა..

მაგრამ ხანდახან ისევ უცებ გამოიდარებს, როგორც მოიღრუბლა. ისევ გაიხსნება, გამოჩნდება კრიალა ცა და უსაზღვროება გადაიშლება თვალწინ. მთები დგანან გოროზი, ჩუმი და მრისხანენი. შესცქერი და გრძნობ, თუ რა ძლიერია ადამიანი, რომ უძლებს მთებია მკაცრ კანონებს. ებრძვის მათ და იცის, რა არის მათს ბუმბერაზს გულში.

ამინდი შეიცვალა, გაავდრდა, მაგრამ მაინც უნდა წავსულიყავით, ვეკიდოდა გვეღახა ვალვანას მთის ბარიტის სომდიდრე, გვეუსინჯა იქაური ნისლით და გვესაუბრა მამაც ბიჭებთან, წელიწადში 215 ნისლიან დღეს რომ შესცქერიან!..

ონის რაიკომის ინსტრუქტორი იური ნემსიწვერიძე დილით დაგვშორდა. გულდაწყვეტილი წავიდა აუცილებელ საქმეზე. დავრჩით მე და ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანი დავით ბეტრეველი.

იმ დღეს წასვლა მაინც ვერ მოვახერხეთ. რაიკომში თათბირი იყო. თუმცა მე მარტო „დავზეერე" ლესორის მთა. ონიდან ირში ავედი და დიდხანს გავყურებდი ბარიტის საზიდ საჰაერო სამგაზრო გზას.

ლესორა ნისლში იყო, იმალებოდა.

საჰაერო გზის მიმღებ პუნქტში შუადღისას მივედი.

სამთო საამქროს პროფორგმა გურამ მაისურაძემ და ბარიტის კონცენტრატის მიმღები ფაბრიკის მთავარმა მექანიკოსმა ლეო კერესელიძემ დიდხანს მატარეს ქარხნის „ლაბირინთებში". მაგრამ „ხელმოსაკიდი" ვერაფერი მოვნახე. მუშაობა თავისი გზით მიდიოდა.

ვიდექით მიმღებ ბაქანზე. გავეცქეროდით საჰაერო გზას, რომელიც ურთულესია მთელ კავშირში. ითქმის 2 კილომეტრის სიმაღლიდან ეშვება იგი და ჰკვეთს ჯეჯორის ხეობას, 1200 მეტრ სიგრძეზე არავითარი სამგზარი არა აქვს, ქვემოთ კი სიცარიელეა, სიმაღლე კილომეტრნახევარი! ტრასის საერთო სიგრძე 3 კილომეტრია.

— აქ ერთი კერესელიძის ბიჭია, შარშან ვაგონს ჩამოჰყვა ლესორიდან!

— რაო?!

ჩემს წინ საშუალო ტანის ბიჭი იდგა.

— ნასვამი ვიყავი, — თქვა მან, — კიდევ დამსაჯეს.

პარტორგის სიტყვები გამახსენდა: ისეთი ბიჭები მყავს, მთებს ანგრევენო. მაგრამ ეს ლეგენდასავით ჩამესმა. უკანასკნელად მაშინ დავიჯერე, როცა პარტორგმაც დამარწმუნა, სიმონ კერესელიძე მართლაც ჩამოჰყოლოდა ვაგონს ლესორიდან!

მაგრამ ეს იყო მეორე დღეს.

ღამით ცუდად მეძინა. სიმაღლემ დამცადა. თავი ოდნავ მიბეკუოდა და დაღლილობას ვერძნობდი.

ყველაფერმა გაიარა როცა მანჭანა დაიძრა, ლესორისაკენ მიმავალ ციცაბო გზას შეუდგა ზოზინით.

ეს ადგილები საქართველოს ისტორიაში ცნობილი ადგილებია. ჩვენი წინაპრები ეწეოდნენ აქ ფოლადის დამუშავებას. ქქონდათ საკუთარი მეტალურგია! ეს იყო ძველათ. შემორჩენილია მხოლოდ სოფელ წედისის რკინის უნნიშვნელო საბადო და თვით სიტყვა წედისი ანუ ჭედისი, ანუ ჭედე ისი, რაც ჭედვაზე, მჭედლობაზე უნდა მიუთითებდეს...

1928 წლიდან უკვე იცოდნენ გვალვანას მთის საგანძურის შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო დაზუსტებული მადნის სახეობა. ურთულესი ბუნებრივი პირობები არ იძლეოდა მუშაობის დაწყების საშუალებას. გვალვანას მთა, რომელიც რაჭის ქედის აღმოსავლეთ ბოლოზე 2300 მეტრ სიმაღლეზეა აღმართული, მიუვალი იყო მაშინ. შქერითა და მუდამ თოვლის წინამხრიდან ყვავილებით დაფარული მიწა სიმდიდრეს მალავდა.

1935 წელს რაჭისა და სამხრეთ ოსეთის მთების შემსწავლელმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ გ. ძოწენიძე, ი. კანდელაკი, ა. დანილოვი, პირველი მონაცემები გაუგზავნა მინერალური რესურსების საკავშირო ინსტიტუტს. სულ მალე ურთულეს პირობებში დაიწყო მუშაობა გეოლოგიურმა ჯგუფმა, რომელსაც გამოეცალი გეოლოგი მ. როყვა ხელმძღვანელობდა. სამუშაოებმა დადებითი შედეგები მოიტანა და 1939 წლიდან დაიწყო ძიება. ძიება გრძელდებოდა და დღესაც გრძელდება, მაგრამ სანამ მადნის მოპოვებას დაიწყებდნენ, საკმაო ხანმა განვლო...

აქ, ახლა ჩვენი „გაზ-63" რომ მიზოზინებდა, მამინ მხოლოდ სამარხილე გზა იყო. ისიც სოფელ ჩორდამდე, რომელიც გვალვანასა და ირის შუაგზაზე მდებარეობს. სწორედ იმ სამარხილო გზით ჩაიტანეს პირველი მადანი. ეს იყო 1954 წელს.

ირიდან ლესორამდე, სადაც სამმართველოს სამთო საამქროა, პირდაპირ 3 კილომეტრია. ჩვენ უკვე ნახევარ საათზე მეტია მივდიოართ... ესეც 90-ე მოსახვევი!

— ჩვენი საბადო უდიდესია საბჭოთა კავშირში, — მეუბნება დავით მეტრეველი. — უწმინდესი მადანია, ცოტა მინარევები აქვს.

— თუ არის საბჭოთა კავშირში სხვა საბადოები, დავით?

— არის თურქმენეთში და ურალზე, მეტად უმნიშვნელო, აფხაზეთშიც არსებობს, მაგრამ სხვადასხვა მინარევებით სავსეა და არა ღირს დამუშავება. ერთადერთი უნიკალურია ჩვენი საბადო, რომელიც საბჭოთა კავშირის ბარიტის მთელი პროდუქციის 80 პროცენტს იძლევა. ჩვენი ქვეყნის 200-მდე საწარმოებს. ასეა ყოველდღე, „სიფრთხილეს თავი არა სტკივა".

წინ სამთო საამქროს უფროსის მოადგილე ნ. რეხვიაშვილი შემოგვეგება.

კვლავ აღმა გასწია ჩვენმა „გაზიკმა", დაკიდდა აღმართს. მალე უნნის უფროსი შ. გავაშელაშვილი შემოგვიერთდა. მანქანაც „დაგვიდგა"; მოკლე გზით წასვლა მოინდომა მძღოლმა.

მთის კალთა გადათხრილია. ყოველი მხრისაკენ გზა მიემართება. ყველგან მოძრაობენ სპეციტანსაცმლიანი ადამიანები.

— ზღვის დონიდან 2100 მეტრი! — თქვა უნნის უფროსმა.

აცივდა. ფეხებმაც იგრძნო გამჭოლავი ქარის სუსი. სახეები დაგვილურჯდა.

წინ აღარაფერი ჩანდა.

მწვერვალის იქით რძისფერი ნისლი იდგა და ზღვის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— აფსუს, რა სანახაობა დაკარგეთ!

მივაღწიეთ მწვერვალს. გვალვანას მთის უმაღლესი წერტილი, სადაც ჩვენი მანქანა გაჩერდა, ზღვის დონიდან თითქმის 2,5 კილომეტრზეა აღმართული.

მთის სამხრეთ კალთაზე მიმდინარეობს ახალი რაიონის მშენებლობა, რომელიც 1967 წელს ჩადგება ექსპლოატაციაში.

— აქ ახლა უკანასკნელი სამუშაოებია, უნდა მოვასწროთ, თორემ მერე ემმაკიც ვერ ამოვა, — გვითხრა უნნის უფროსმა. — ზამთარში მარტო ლესორის მაღაროები მუშაობს.

უზარმაზარი სიძნელეები ეღობება მეშახტეებს მადნის დაზვერვისა და მოპოვების დროს. ბარიტი ქვანახშირივით როდი წევს ფენებად ნიადაგში. იგი ძარღვების სახით არის გაფანტული და ხშირად ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით. ძნელი დასადგენია სიდან უნდა დაიწყო მისი დამუშავება.

მეშახტის ქუდები დავიხურეთ. გვერბში შევედით, ჩვენი მძღოლი დათო გაგნიძეც კი არ დარჩა ამ მაღაროს გაყვანაზე ხუთი კაცისაგან შემდგარი ბრიგადა მუშაობდა — ბრიგადირი ვ. ჭიტაძე, ძმები ბარამიშვილები, ვ. ტოროშელიძე და ვ. ყაველაშვილი. ჩვენს წინ ბარიტის მოპოვების სიძნელის დემადასტურებელი ერთ-ერთი ნიმუში იყო. დაასლოებით ერთმეტრიანი სიფართის ძარღვამდე მისასვლელად ბრიგადის წევრებს 110 მეტრი ფუჭი ქანების თხრა მოუხდათ, მაგრამ მადანი 80-პროცენტიანია! სინათლის შუქზე ბრწყინავდა ბარიტი.

— რამდენი ხანია მუშაობთ, ბრიგადირო?

— ოვე და 25 დღე.

— 150 პროცენტით შეასრულეს გეგმა,— თქვა პარტორგმა, — კარი ბიჭები არიან.

მივაბიჯებდით წელში მოხრილნი, მივაბოტებდით გრუნტის წყლებში, ვცრძნობდით სიბნელის სიძლიერეს, მაგრამ მაღაროს მაინც ვერ დავარქმევ. რადგან ქაერი იყო საოცრად სუფთა და მსუბუქი, რაც ოდნავად არ ჰგავდა ნახშირის მაღაროს მძიმე აბმოსფეროს.

ავიარეთ თოვლის წინამორბედი თოვლივით თეთრი ყვავილებით მოფენილი აღმართი. ნისლი არ იფანტებოდა. ეს ხომ მეორე მთაა მამისონის შემდეგ, სადაც წელიწადში უმეტესობა ნისლიანი დღეებია.

მაღაროთა საერთო სიგრძე 5 კილომეტრამდეა. სულ ექვსი შტოლნია, ასე ეძახიან აქ მაღაროებს, მაგრამ თვითეული მათგანს აქვს სხვადასხვა სახის „გამონამუშევრები" იმის მიხედვით, თუ რა მხრივ არის წასული ბარიტის ძარღვი. „აღმავალი", „დახრილი", „შუროთი" თუ „გეზენკით", თვითეული ასეთი შტოლნის სიგრძე 1.000-1.200 მეტრია.

უდიდესია ძარღვი № 6. აქ მადნის კომბინირებული დამუშავება ხდება. ნაწილს ზედაპირიდან, ე. წ. გადაფხეკის წესით იღებენ, ნაწილს — მიწის ქვეშიდან. ამფეთქებლების მორიგი ფეთქებისათვის ემზადებოდნენ. ცვლის უფროსმა ირ. ბერიძემ მოკლედ გაგვაცნო სამუშაოს მიმდინარეობა. მერე თითქმის 100-პროცენტიანი ბარიტის მადნის გროვასთან მიგვიყვანა და თქვა:

— ამრავლოს. ასეთი მადანი იშვიათია.

ცვლის უფროსი საქმის ერთგულია. მას შესცქერის ჩვენი ბიჭების ძარღვიან ხელებს... მოსახვევების რიცხვი ამერია.

უკვე ჩახდა გვალვანას მთა. ახლოს, სულ ახლოს, ბურუსი დროებით გაფანტულიყო.

გუშინ, როცა სამმართველოს შენობაში გეგმებზე ვეკითხებოდი საგეგმო განყოფილების უფროსს ბიძინა გაგნიძეს, გამიკვირდა, ისეთი პატარა ციფრები დამისახელა. მაგრამ ახლა თანდათან ვხვდებოდი, თუ რა ძნელი საქმე იქნებოდა ამ გოლიათი მთის გულში გაფანტული 48.000 ტონა მადნის გამოზიდვა წელიწადში. გეგმები კი ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება. ისიც ვიცოდი, რომ გასულ წელს მაღაროელებმა 45.000 ტონა მადანი გამოსტაცეს მკაცრ სტიქიას. წარმატებით შეასრულეს მიმდინარე წლის 9 თვის გეგმები სამთო საამქროს და ბარიტის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივებმა. 8 თვის გეგმის შესრულება კი მეშახტეთა დღეს დავმთხვა და ორმაგი სიხარული მოუტანა მათ.

სომაღლის განდა მაშინ ვიგრძენი, როცა ლესორის დასახლებაში შევედით. ციცაბო მთის ძირში მიყუჟულა მეშახტეთა დასახლება. რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, გეოლოგების კანტორა, სასადილო, სამთო საამქროს შენობა. აი დასახლების სრული სია. ლესორა ზღვის დონიდან 2.000 მეტრ სიმაღლეზეა. აქ თავმოყრილია მთელი გვალვანას მთის სიმდიდრე. აქედან იგზავნება იგი საბაგირო გზით ირისაკენ. აქამდე კი ციცაბო კალთებზე ჩამოაქვთ „მაზების" „თავზეხელაღებულ" მძღოლებს!

ცვლა გასასვლელად ემზადებოდა. უნნის უფროსები ინსტრუქტაჟს უწევდნენ მეშახტეებს. ასეა ყოველდღე, „სიფრთხილეს თავი არა სტკივა".

— ზღვის დონიდან 2100 მეტრი! — თქვა უნნის უფროსმა.

აცივდა. ფეხებმაც იგრძნო გამჭოლავი ქარის სუსი. სახეები დაგვილურჯდა.

— ეს ბიჭები ... — ... ეგეგმები ... — ... ... — ... ... — ...